

რა არის მეთადონი?

მეთადონი არის სინთეზური ნარკოტიკი, რომელსაც ჰეროინის მსგავსი თვისებები აქვს. ჰეროინის შესახებ მიღებული ინფორმაცია ვრცელდება მეთადონზეც. იგი მხოლოდ ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ შეიძლება იქნეს გამოყენებული იმისათვის, რომ ნარკომანმა თავი გაანებოს ჰეროინს ან ოპიუმს.



გამოშვების ფორმები

მეთადონი არსებობს ფხვნილის, წვეთების ან შესქელებული სიროფის სახით. ქუჩებში იყიდება სხვადასხვა სიდიერისა და ფერის მქონე მეთადონი.

არასოდეს გაიკეთო მეთადონი შპრიცით. ყოველთვის სასაფრთხოა ამა თუ იმ ნარკოტიკული საშუალების შპრიცით მიღება. არსებობს ზედღონის საფრთხე და, თუ რამდენიმე ადამიანი გამოიყენებს ერთ შპრიცს, არსებობს ისეთი ინფექციების საშიშროება, როგორცაა შიდსი ან B და C ჰეპატიტები.

მეთადონი და სხვა ნარკოტიკული საშუალებები

ექსტაზისა და ამფეტამინის “კაფეიდან” გამოსასვლელად ზოგიერთი მიმართავს მეთადონს. ეს, რა თქმა უნდა, აადვილებს გამოსვლას, მაგრამ ძალიან საშიშია. ამ ნარკოტიკული საშუალებების მონაცვლეობით მიღებისას განსაკუთრებით ზიანდება გული. თუ შენ არ იცი, რას იკეთებ, შეიძლება ბევრი მოგივიდეს ან ამას დაამატო სხვა დებრესანტები, როგორცაა ალკოჰოლი ან ბარბიტურატები და გულმა შეიძლება მალე სულაც შეწყვიტოს მუშაობა.

დამოკიდებულება

მეთადონი ისევე ხდის ადამიანს მასზე დამოკიდებულს, როგორც ჰეროინი. თუ ადამიანი მეთადონს სისტემატურად იღებს, ხდება მასზე არა მარტო ფიზიკურად, არამედ ფსიქიკურად დამოკიდებულება. დამოკიდებულება მეთადონზე ისევე ძლიერია, როგორც ჰეროინზე, თავის დანებება კი ზოგჯერ უფრო ძნელი და საშიშია.

მეთადონის ტოლერანტობა

ტოლერანტობა იზრდება მისი ხშირი გამოყენებისას, მაგრამ არა ისე სწრაფად, როგორც ჰეროინის დროს. მეთადონის ტოლერანტობა სწრაფად კლებულობს. თუ შენ მეთადონს ერთი კვირის განმავლობაში არ იღებ, მეთადონის ტოლერანტობა ნულს უტოლდება. ამის შემდეგ ჩვეული დოზა შენთვის შეიძლება ბევრიც იყოს.

მეთადონზე უარის თქმა

მეთადონზე თავის დახეობა ისეთივე რთულია, როგორც ჰეროინზე. თუ შენ გინდა მეთადონს თავი დაახეო, გჭირდება პროფესიონალური დახმარება, რადგან მეთადონის დოზები კვირების განმავლობაში თანდათან უნდა შემცირდეს. ფიზიკური და ფსიქიკური გამოვლინებები ისეთივე ძლიერია, როგორც ჰეროინის შემთხვევაში. ყველაზე მთავარი პრობლემა არის ის, რომ ეს გამოვლინებები ნაკვირვალ ან უფრო მეტი ხანი გრძელდება. ტკივილი და შიშის მდგომარეობა პირველი ორი-სამი კვირის შემდეგ სუსტდება. რაც არ უნდა ძნელი იყოს ეს, იფიქრე იმაზე, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებმაც ყველაფერი ეს გადალახეს.

სამართლებრივი მდგომარეობა

მეთადონი ექვემდებარება კახონით კონტროლს. მისი გაყიდვა და გავრცელება აკრძალულია. იგი შეიძლება დაენიშნოს ჰეროინის მოძიებების მკურნალობის მიზნით ფსიქოსოციალურ თერაპიასთან ერთად.

უსაფრთხოება

ისევე როგორც ჰეროინის მოხმარებისას, მეთადონის დროსაც არსადეს არ ხარ დაზღვეული, თუმცა შეგიძლია ეს საფრთხე აიცილო თავიდან. ყველაზე მნიშვნელოვანია, არასოდეს შეურიო მეთადონი სხვა ნარკოტიკულ საშუალებებს!

თუ რაიმე პრობლემები შეგექმნა

გულის წასვლა: თუ შენი მეგობარი ჯერ კიდევ სუნთქავს, მოიყვანე იგი სტაბილურ მწოლიარე მდგომარეობაში (იხ. გვ. 134)

დაურეკე სასწრაფო დახმარებას !

აუცილებლად უთხარი ექიმს, რა ნარკოტიკული საშუალება მიიღო შენმა მეგობარმა. ამას შეუძლია შენი მეგობრის სიცოცხლის გადარჩენა. იყავი მზად იმისათვის, რომ გააცოცხლო შენი მეგობარი, თუ მან სუნთქვა შეწყვიტა (იხ. გვ. 135)

თუ შენმა მეგობარმა გულწასულ მდგომარეობაში შეწყვიტა სუნთქვა, იზრუნე, რომ მან ისევ დაიწყოს სუნთქვა.